



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)

2026 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა

აუდიტორებისათვის

განხილული და მოწონებულია ბაფის

განათლების კომიტეტის მიერ

(სხდომის ოქმი N 8, 01.07.2026 წ.)

თბილისი 2026

პროგრამის შედგენის საფუძვლები

წინამდებარე განგრძობითი განათლების პროგრამა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს #ნ-13 ბრძანებით დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ საფუძველზე და გამოიყენება აუდიტორების/სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლებისთვის.

პროგრამა ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მე-16 მუხლის მოთხოვნებს.

პროგრამა მოიცავს **30 საათიან** სემინარებს და შემდეგნაირად ნაწილდება:

1. ეთიკის კოდექსი **2 საათი;**
2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები **10 საათი;**
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები **9 საათი;**
4. საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები **9 საათი.**

პროგრამის აღწერა

1. პროგრამის დასახელება - განგრძობითი განათლება
2. პროგრამის ნომერი - CPD/GFPAA/2026
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - პროფესიული კომპეტენციის დადასტურება
4. პროგრამის მოცულობა:
რეგისტრირებული აუდიტორთათვის: 30 საათი,
სერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის 20 საათი
5. პროგრამის საფუძველი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები; განგრძობითი განათლების სტანდარტი
6. სწავლების ენა - ქართული
7. პროგრამის ხელმძღვანელი: კონსტანტინე დათიაშვილი - ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე
8. პროგრამის მიზანი: განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია სერტიფიცირებული ბუღალტრის და აუდიტორის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი განვითარების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში. ასევე, ბაზარზე არსებული გამოწვევების და რისკების გაცნობა და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება, რომელიც დაეხმარება სერტიფიცირებულ ბუღალტერს თავისი საქმის ეფექტიანად წარმართვაში.
9. სწავლის შედეგები: სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა და აუდიტორებმა განგრძობითი განათლების პროგრამის გავლის შედეგად უნდა განაახლოს და გაიღრმავოს პროფესიული კომპეტენცია, რაც მოიცავს: ტექნიკური კომპეტენციებს, კერძოდ, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში არსებულ საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; პროფესიულ უნარებს, რომლებიც არის, კომუნიკაბელურობის, პერსონალური, ორგანიზაციული უნარები, რომელთა ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტერის პროფესიული კომპეტენცია
10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექცია წაიმართება დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიის „ზუმის“ დახმარებით (შემდგომში „Zoom“). თითოეულ მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და საკონფერენციო დარბაზის ნომერი, რომლის დახმარებითაც პირადი ტელეფონით ან კომპიუტერით შეძლებენ დისტანციურად ლექციაზე დასწრებას. რეგისტრაციის გავლის დროს, ყველა მონაწილეს გაეგზავნება დისტანციურად ლექციაზე დასწრების სახელმძღვანელო, რომელშიც საილუსტრაციო მაგალითის გამოყენებით აღწერილი იქნება პირადი კომპიუტერით ან ტელეფონით ლექციაზე ჩართვის სქემა. ასევე აღნიშნული სახელმძღვანელო დაიდება პროფესიული ორგანიზაციის ვებგვერდზე. ლექცია წაიმართება ონლაინ რეჟიმში სადაც თითოეულ მსმენელს შესაძლებლობა ექნება რომ ჩაერთოს დისკუსიაში. განხილული იქნება მაგალითებზე მსჯელობა: წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. ლექტორი უფლებამოსილია მსმენელს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული მასალა იმ ფორმატით რომელიც წარმოდგენილია სწავლების დროს. ლექტორი ვალდებულია აწარმოოს მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, რომელიც მოხდება ელექტრონულად, (პოლის აპლიკაციის გამოყენებით).

პროგრამის სასწავლო კურსის სტრუქტურა და ნომერი:

ეთიკის კოდექსი - CPD/GFPAA/2026/1

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები - CPD/GFPAA/2026/2;

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები - CPD/GFPAA/2026/3;

საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები - CPD/GFPAA/2026/4.

პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

1. ეთიკის კოდექსი

პროგრამა 1.1. ეთიკის კოდექსი

სასწავლო პროგრამის დასახელება	ეთიკის კოდექსი: - რეალური მაგალითების განხილვა - ტესტები	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/1.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
2 საათი	თემა: - დამოუკიდებლობის ტესტი რომელიც განიხილება სესიაზე; - ეთიკის კოდექსის ძირითადი კომპონენტების გამოყენება; 2025 წლის 27 თებერვლიდან მოქმედი ეთიკის კოდექსის მიმოხილვა - მდგრადობის უზრუნველყოფის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის დეკემბერში.	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და მასში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გაცნობა და დამკვიდრებული პრაქტიკის გაზიარება.	
შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესახებ; მსმენელებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ზემოაღნიშნული საკითხების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა/აუდიტორმა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმში	2 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
ძირითადი ლიტერატურა “ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, 2025 წლის გამოშვება; „ეთიკური პასუხისმგებლობა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი		

სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ნინო კეკენაძე
უმაღლესი განათლება	1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; 3. 2016 წლიდან სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2023 წლიდან - აუდიტის ხარისხის ინსპექტორი, financial reporting council, London, UK 2. 2020 წლიდან 2023 წლამდე - აუდიტორული ფირმა EY- ს აუდიტის სინიორ მენეჯერი, London, UK 3. 2019 წლიდან 2020 წლამდე - აუდიტორული ფირმის Deloitte მენეჯერი, ფასს Advisory, Malta 4. 2015 წლიდან - 2018 - EY საქართველო, აუდიტის მენეჯერი
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: +44 7385 021167; +995 591 91 77 93 e-mail: ninokekenadze@yahoo.com

2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

პროგრამა 2.1: ხარისხის მართვის სახელმძღვანელო (ხმს 1 და ხმს 2)

სასწავლო პროგრამის დასახელება	ხარისხის მართვის სახელმძღვანელო (ხმს 1, ხმს 2)	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/2.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 სთ	თემა: 1. ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენება აუდიტის ხარისხის სახელმძღვანელოს მეშვეობით. 2. ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასების პრაქტიკული მაგალითები	
კურსის ფორმატი	ლექცია წარმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებს დაეხმაროს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის და აუდიტის ხარისხის სახელმძღვანელოს განსხვავების გააზრებაში, რაც მსმენელებს საშუალებას მისცემს გაითვალისწინონ აუდიტის ხარისხის სახელმძღვანელოს	

	პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა.	
სწავლების შედეგები	გაიზრდება მსმენელთა მიერ ხარისხის მართვის სტანდარტის პრაქტიკაში სწორად გამოყენების შესაძლებლობა და ასევე ამაღლება ცოდნა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტზეც.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია პრაქტიკული	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერატურა</u>		
• ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმს 1, ხმს 2) • აუდიტის ხარისხის სახელმძღვანელო		
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		
• ტრენერის მიერ მომზადებული პრაქტიკული მაგალითები ფირმის დონეზე ხარისხის მართვაზე.		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	თეკლა ონიანი	
უმაღლესი განათლება	1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი; 3. საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორი.	
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2019 წლიდან - დღემდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მთავარი აუდიტორი; 2. 2012 წლიდან - 2016 წლამდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი“ აუდიტის განყოფილების სენიორ აუდიტორი.	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 597 600 700, e-mail: tekla.oniani@gmail.com	

პროგრამა 2.2: ასს 570 – უწყვეტი საქმიანობა, ასს 315 და ასს 330 - რისკის შეფასება და პასუხი

სასწავლო პროგრამის დასახელება	ასს 570 – უწყვეტი საქმიანობა, ასს 315 და ასს 330 - რისკის შეფასება და პასუხი	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/2.2
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	ასს 570 (განახლებული 2024) – უწყვეტი საქმიანობა: 1. გაძლიერებული სკეპტიციზმი და ადრეული შეფასება 2. მენეჯმენტის შეფასების კრიტიკული ანალიზი 3. სტრატეგიული და არაფინანსური რისკების შეფასება 4. "Close Call" სიტუაციების გამჭვირვალობა 5. განახლებული აუდიტორის დასკვნა ასს 315 და ასს 330 – რისკის შეფასება და პასუხი: 1. თანდაყოლილი და კონტროლის რისკის ცალ-ცალკე შეფასება 2. თანდაყოლილი რისკის სპექტრი და 5 ფაქტორი 3. IT გარემოს გაფართოებული გაგება 4. ფინანსური ანგარიშგების და მტკიცების დონის რისკების იდენტიფიკაცია 5. ასს 330 –პასუხი შეფასებულ რისკებზე 6. დინამიური და განახლებადი აუდიტის პროცესი	
სასწავლო ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარი თანაგრძნობს მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩათვლება. სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში	

	აღირციხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაედაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია დაეხმაროს მსმენელებს აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციის მნიშვნელობის, სტრუქტურისა და პრაქტიკული გამოყენების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში.	
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია პრაქტიკული	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
1. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია და სალექციო მასალა 2. ყველა ის სახელმძღვანელო მასალა, რომელიც ნათარგმნი და გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე:		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ნათია სვანაძე	
უმაღლესი განათლება	1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის, ESM ბიზნესის სკოლის ბაკალავრი; 2. 2015 წლიდან სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი	
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2008 წლიდან - 2022 წლამდე - ქსელური აუდიტორული ფორმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების სენიორ მენეჯერი; 2. 2023 წლიდან - დღემდე - Audit and Business Solutions მმართველი პარტნიორი.	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 598 93 93 01; e-mail: nsvanadze@gmail.com	

პროგრამა 2.3: აუდიტის სტანდარტის სხვა ცვლილებები

სასწავლო პროგრამის დასახელება	აუდიტის სტანდარტის სხვა ცვლილებები	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/2.3
სასწავლო კურსის თემატიკა		
4 საათი	თემა: ასს 240 – თაღლითობა და სკეპტიციზმი: 1. გაძლიერებული პროფესიული სკეპტიციზმის მოთხოვნები 2. ასს 315-თან ინტეგრირებული თაღლითობის რისკის შეფასება სდპ – საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საწარმოები: 3. სდპ-ს განახლებული განმარტება და გაფართოებული სარეგულაციო მოთხოვნები მდგრადობის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტი 5000: 4. მდგრადობის ინფორმაციის რწმუნების ახალი გლობალური ჩარჩო 5. დამოუკიდებლობისა და ეთიკის მოთხოვნები მდგრადობის რწმუნებაში 6. მდგრადობის რწმუნების სკოპი, მტკიცებულება და დასკვნის ფორმატი	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება. სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაეძაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის აუდიტის სტანდარტის სწორად შერჩევა და შესაბამისი გამოყენება.	

შედეგები	გაიზრდება მსმენელთა აუდიტის სტანდარტის სწორედ გამოყენების შესაძლებლობა და ამალდება ცოდნა - სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების და სხვა მარწმუნებელი ანგარიშგების გამოყენებასთან დაკავშირებით	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმში	4 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერატურა</u> - ასს 240 – თაღლითობა და სკეპტიციზმი - ISSA 5000 – მდგრადობაზე რწმუნების სტანდარტი - სდპ – საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საწარმოები - ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია და სალექციო მასალა		
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u> აზიის განვითარების ბანკის საგრანტო და სასესიო ხელშეკრულებების აუდიტის მაგალითები		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ნანა ღვალაძე	
უმაღლესი განათლება	- კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დოქტორანტი - CPA – სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორეგონის შტატი.	
პრაქტიკული გამოცდილება	2025 წლიდან - აზიის განვითარების ბანკის ასოცირებული ფინანსური მენეჯმენტის ოფიცერი 2018 წლიდან 2025 წლამდე - აუდიტორული ფირმა იუაი- ს აღრიცხვა-ანგარიშგების და ფინანსური კონსულტაციების განყოფილების ხელმძღვანელი, სენიორ მენეჯერი. 2015 წლიდან 2018 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი- ს აუდიტის ჯგუფების სენიორი; 2010 - 2015 წლამდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2008 – 2010 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი;	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 593 98 20 21; e-mail: ngvaladze@adb.org	

3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)

პროგრამა 3.1. ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება

სასწავლო პროგრამის დასახელება	ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/3.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება: 1. მოგება-ზარალის ანგარიშგების ახალი სტრუქტურა – 5 კატეგორიად დაყოფა; 2. საოპერაციო მოგების სავალდებულო გამჟღავნება; 3. მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლების (MPM) რეგულირება; 4. გაერთიანების და დეზაგრეგაციის განახლებული პრინციპები; 5. შენიშვნებში გამჟღავნების გაუმჯობესებული მოთხოვნები; 6. ბასს 1-ის ჩანაცვლება და გარდამავალი პერიოდის მოთხოვნები.	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება. სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაედაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებს გააცნოს საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტის მოთხოვნები და ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.	

სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.		
სწავლის ერთეულის ოდენობა			
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.	
კითხვა-პასუხის რეჟიმი			
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი			
<u>ძირითადი ლიტერატურა</u>			
1. ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება			
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>			
1. ყველა ის სახემძღვანელო მასალა, რომელიც ნათარგმნი და გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე: (saras.gov.ge)			
2. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია			
სწავლების ენა	ქართული		
ინფორმაცია ლექტორის შესახებ			
სახელი, გვარი	ელენე ლომსაძე		
უმაღლესი განათლება	1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის, ESM ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. HULT International Business School (London Campus)-ის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; 3. 2021 წლიდან სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი		
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2012 წლიდან - დღემდე, შპს ჯორჯიან მანგანუმი-ს, ფინანსური ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი; 2. 2008 წლიდან 2012 წლამდე - აუდიტორული ფირმა იუაი-ს აუდიტის ჯგუფების სენიორი;		
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 577234899; 599211110 e-mail: elene.lomsadze@gmail.com		

პროგრამა 3.2. ფასს 9 და ფასს 7-ის ცვლილებები (ელექტროენერგიის კონტრაქტები), ბასს 21 – გაცვლადობის ნაკლებობა

სასწავლო პროგრამის დასახელება	ფასს 9 და ფასს 7-ის ცვლილებები (ელექტროენერგიის კონტრაქტები), ბასს 21 – გაცვლადობის ნაკლებობა	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/3.2
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	ფასს 9 და ფასს 7 - ელექტროენერგიის კონტრაქტები: 1. შეფასების არჩევანის განახლებული კრიტერიუმები 2. ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა 3. ჰეჯირების აღრიცხვა ენერგეტიკულ კონტრაქტებში 4. ფასს 7 – გამჟღავნების გაფართოებული მოთხოვნები ენერგეტიკულ ინსტრუმენტებზე ბასს 21 – გაცვლადობის ნაკლებობა: 5. ვალუტის გაუცვლელობის (Lack of Exchangeability) განახლებული განმარტება და კრიტერიუმები 6. სავალუტო კურსის შეფასება და გამჟღავნება გაუცვლელობის პირობებში	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM” აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება. სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაეძაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.	

სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელს გააცნოს საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტის მოთხოვნები და ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.		
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.		
სწავლის ერთეულის ოდენობა			
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმში	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.	
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი			
ძირითადი ლიტერატურა			
1. ფასს 9 & ფასს 7 ელექტრო ენერგიის კონტრაქტები: 2. ბასს 21 – გაცვლადობის ნაკლებობა			
დამხმარე ლიტერატურა და მასალები			
1. ყველა ის სახელმძღვანელო მასალა, რომელიც ნათარგმნი და გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე: saras.gov.ge 2. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია			
სწავლების ენა	ქართული		
ინფორმაცია ლექტორის შესახებ			
სახელი, გვარი	თამარ ჩხატარაშვილი		
უმაღლესი განათლება	1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი;		
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2019-დან - ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია ებიტ კონსალტინგის დირექტორი/პარტნიორი 2. 2016-დან ებიტ ედუქეიშენის დირექტორი/პარტნიორი და ფასს სტანდარტების ტრენერი 3. 2015-2019 წლები შპს ნიკორას ფინანსური დირექტორი 4. 2013–2015 წლები სს პსპ დაზღვევის ფინანსური დირექტორი		

	5. 2011-2013 წლები შპს სმაილის ფინანსური დირექტორი 6. 2008-2011 წლები შპს ავერსი ფარმა - ფინანსური დირექტორის მოადგილე 7. 2006-2008 წლები შპს დენტალ ჯორჯიას ფინანსური მენეჯერი
საკონტაქტო ინფორმაცია	574 900 343 e-mail: tchkhatarashvili@ebit.ge

პროგრამა 3.3: ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება

სასწავლო პროგრამის დასახელება	ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/3.3
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: 1. გამარტივებული გამჟღავნების ახალი ჩარჩო არასაჯარო შვილობილებისთვის; 2. სავალდებულო და ნებაყოფლობითი გამჟღავნებების გამოიჯვანა; 3. დედა კომპანიის ფასს სტანდარტებთან შესაბამისობა და გამოწვევები; 4. კვალიფიციური შვილობილი კომპანიის კრიტერიუმები; 5. გარდამავალი პერიოდის მოთხოვნები და პირველადი გამოყენება;	
სასწავლო ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც. დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის	

	მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება. საღიგებულო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუზიაროს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაეღაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.	
სასწავლო მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.	
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
პრაქტიკული		
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
ძირითადი ლიტერატურა		
ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე:		
დამხმარე ლიტერატურა		
1. ლექტორის მიერ მომზადებული საღიგებულო მასალა;		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ელენე ლომსაძე	

<i>უმაღლესი განათლება</i>	1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის, ESM ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. HULT International Business School (London Campus)-ის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; 3. 2021 წლიდან სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი
<i>პრაქტიკული გამოცდილება</i>	1. 2012 წლიდან - დღემდე, შპს ჯორჯიან მანგანუმი-ს, ფინანსური რეპორტირების დეპარტამენტის უფროსი; 2. 2008 წლიდან 2012 წლამდე - აუდიტორული ფირმა „იუაი“- ს აუდიტის ჯგუფების სენიორი;
<i>საკონტაქტო ინფორმაცია</i>	მობ: 577234899; 599211110 e-mail: elene.lomsadze@gmail.com

4. საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებები

პროგრამა 4.1. საკანონმდებლო სიახლეები

სასწავლო პროგრამის დასახელება	საკანონმდებლო სიახლეები	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/4.1
<i>სასწავლო კურსის თემატიკა</i>		
<i>3 საათი</i>	ცვლილებები საქართველოს ბიზნესის სფეროში არსებული მარეგულირებელი ნორმების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებაზე. ცვლილებები განხილული იქნება თემატურად და გაანალიზებული იქნება 2025-2026 წლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სხვადასხვა დარგის საწარმოებსა თუ ფიზიკური პირების საქმიანობაზე. სემინარზე მოხდება ძირეული ცვლილებების შეჯამება და ამ ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური საკითხების მიმოხილვა. დამატებითი დრო იქნება დათმობილი კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის რა დროსაც მოხდება გამოცდილების გაზიარება სემინარის დამსწრეთა შორის.	
<i>სასწავლო კურსის ფორმატი</i>	ლექცია წარიმართება Zoom ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს მიაწვდის სალექციო მასალას და განიხილავენ პრაქტიკულ მაგალითებს. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც სემინარის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ.	

			დისტანციური სწავლება წარმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება. სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაეძაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.
სასწავლო კურსის მიზანი			სასწავლო კურსის მიზანია მსმენელთა ინფორმირება კერძო სექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და იმ გამოწვევების შესახებ, რაც აუცილებელია აუდიტორების პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი.
სწავლების შედეგები			გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე ბიზნეს სამართლის შესახებ. ლექციის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია ბიზნეს სამართალში შესული ცვლილებების შედეგად. აღნიშნული კი საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ აღრიცხვაზე და ანგარიშების მომზადებაზე.
სწავლის ერთეულის ოდენობა			
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი		3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი			
<u>ძირითადი ლიტერატურა</u>			
1. ნორმები ბიზნეს კანონმდებლობიდან 2. სასამართლო პრაქტიკა 3. სიტუაციური სახელმძღვანელოები			
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>			

1. სხვა სამართლებრივი აქტები	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	მავო მაისურაძე
უმაღლესი განათლება	1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), სამართლის ბაკალავრი. 2. ბუცერიუსის სამართლის სკოლა (BUCERIUS LAW SCHOOL) (ჰამბურგი, გერმანია), კურსი საერთაშორისო ბიზნეს სამართალში.
პრაქტიკული გამოცდილება	პროფესიული საქმიანობა 1. შპს სპრაიზ საქართველო, მთავარი იურისტი. 2. შპს „იუაის“ იურიდიული პრაქტიკის მენეჯერი 2021 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ივლისამდე. 3. შპს „იუაის“ იურიდიული პრაქტიკის უფროსი იურისტი 2018 წლის სექტემბრიდან 2021 წლის ოქტომბრამდე. 4. იურიდიული ფირმა Dechert საქართველოს (შემდგომში გადაკეთდა როგორც იურიდიული ფირმა MG LAW) უფროსი იურისტი 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის ივლისამდე. 5. შპს დელოიტი და ტუშის იურისტი 2014 წლის ივლისიდან 2017 წლის დეკემბრამდე. აკადემიური/სხვა პროფესიული საქმიანობა 1. წარმომადგენლობა საერთაშორისო არბიტრაჟში; სასერტიფიკაციო კურსი ორგანიზებული იყო საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC), კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო კომერციული და საარბიტრაჟო ცენტრის (CICIA) და კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მიერ. ქ. თბილისი, 2024 წლის ოქტომბერი - 2024 წლის დეკემბერი. 2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიწვეული ლექტორი 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის ივლისის ჩათვლით. კურსი - ვილემ ვისის (WillemC.Vis) სახელობის იმიტირებული პროცესი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში. 3. ვილემ ვისის (WillemC.Vis) სახელობის საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში იმიტირებული პროცესის არბიტრი (ვენა, ავსტრია) (აპრილი, 2019 წ.; მარტი, 2020 წ.). 4. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეროვნული სააგენტო, ტრენინგი სტარტაპებისთვის მნიშვნელოვანი კომერციული საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ 2016 წლის მარტი. 5. შპს დელოიტი და ტუში, ტრენინგი ადამიანური რესურსების მმართვეის სპეციალისტებისთვის 2017 წლის მაისი.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 593 22 01 21; e-mail: maisuradzemako@gmail.com

პროგრამა 4.2. საგადასახადო სიახლეები

სასწავლო პროგრამის დასახელება	საგადასახადო სიახლეები	პროგრამის ნომერი CPD/GFPAA/2026/4.2
<i>სასწავლო კურსის თემატიკა</i>		
3 საათი	2025 და 2026 წლებში განხორციელებული საგადასახადო ცვლილებებისა და პრაქტიკის მიმოხილვა სემინარის ფარგლებში განიხილება 2025 და 2026 წლებში განხორციელებული ძირითადი საგადასახადო ცვლილებები და მოქმედი პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ რეგულაციებს, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიების ბიზნეს გადაწყვეტილებებზე. გარდა უკვე ძალაში შესული ცვლილებებისა, სემინარზე დეტალურად განიხილება ყველა აქტუალური საკანონმდებლო ინიციატივა და კანონპროექტი, რომლებიც ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია და პირდაპირ ან ირიბად იწვევს ცვლილებებს საგადასახადო კოდექსში. აგრეთვე გათვალისწინებული იქნება მომიჯნავე სფეროებში (საბუღალტრო, ადმინისტრაციული და სხვა) განხორციელებული ან დაგეგმილი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ საგადასახადო გადაწყვეტილებების მიღებაზე. შინაარსობრივი წვდომისა და ეფექტური განხილვისთვის, სემინარი წარიმართება თემატურად: მოხდება ძირეული ცვლილებების შეჯამება, მათი ანალიზი და იმ აქტუალური საკითხების გამოკვეთა, რომლებიც ახალი რეგულაციების ფონზე დაუზუსტებელია ან ბუნდოვანებაა პრაქტიკაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ საკითხებს, რომელთა დაზუსტებაც მომავალში შესაძლოა აუცილებელი გახდეს. სემინარის დასასრულს, დათმობილი იქნება დამატებითი დრო კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის, რაც შესაძლებლობას მისცემს მონაწილეებს გამოცდილების გაზიარების, პრაქტიკულ საკითხებზე ურთიერთდისკუსიისა და საჭირო სიცხადის მიღებისათვის.	
<i>სასწავლო კურსის ფორმატი</i>	ლექცია წარიმართება Zoom ლექციის ფორმატში რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს მიაწვდის სალექციო მასალას და განიხილავენ პრაქტიკულ მაგალითებს. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც სემინარის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება	

	შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული.		
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელთა ინფორმირება საგადასახადო კოდექსში შესული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და იმ გამოწვევების შესახებ, რაც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი.		
სწავლების შედეგები	საგადასახადო კოდექსში განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების დეტალური განხილვა მნიშვნელოვნად გაზრდის მსმენელთა ინფორმირებულობის დონეს მიმდინარე საგადასახადო პრაქტიკის შესახებ. ლექციის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ სრულყოფილი წარმოდგენა იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რომლებიც პირდაპირ აისახება კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და ადმინისტრირებაზე. ეს ცოდნა მსმენელებს საშუალებას მისცემთ, აუდიტორული მომსახურების გაწევისას, ეფექტურად გამოავლინონ მაღალი რისკის შემცველი და პრობლემური საკითხები, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს როგორც საგადასახადო აღრიცხვაზე, ისე ფინანსური ანგარიშგების სიზუსტესა და შესაბამისობაზე.		
სწავლის ერთეულის ოდენობა			
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.	
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი			
ძირითადი ლიტერატურა			
4. საგადასახადო კოდექსის ცვლილებები; 5. სიტუაციური სახელმძღვანელოები; 6. ფინანსთა მინისტრის #996 ბრძანების ცვლილებები;			
დამხმარე ლიტერატურა და მასალები			
შეოსავლების სამსახურის გვერდზე გამოქვეყნებული წინასწარი გადაწყვეტილებები და საგადასახადო დავები;			
სწავლების ენა	ქართული		
ინფორმაცია ლექტორის შესახებ			
სახელი, გვარი	გიორგი ხანჯალიაშვილი		
უმაღლესი განათლება	1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრი		

	2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის მაგისტრი 3. სან ფრანცისკოს უნივერსიტეტის საგადასახადო სამართლის მაგისტრი 4. სან ფრანცისკოს უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
<i>პრაქტიკული გამოცდილება</i>	პროფესიული საქმიანობა 1. შპს ანდერსენ ჯორჯია, საგადასახადო და საკონსულტაციო გუნდი-საგადასახადო მენეჯერი 2023 წლის ივნისიდან დღემდე. 2. შპს „იუაის“ საგადასახადო და იურიდიული გუნდის უფროსი საგადასახადო იურისტი 2020 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივნისამდე. 3. შპს „გორგიას“ კორპორატიული იურისტი 2020 წლის თებერვლიდან 2020 წლის ნოემბრამდე. 4. სსიპ შემოსავლების სამსახური, დავების დეპარტამენტი, საგადასახადო სამართლის სპეციალისტი 2017 წლის დეკემბრიდან 2020 წლის თებერვლამდე. აკადემიური/სხვა პროფესიული საქმიანობა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი 2021 წლიდან დღემდე - საგადასახადო სამართალი; გადახდისუუნარობის სამართალი
<i>საკონტაქტო ინფორმაცია</i>	მობ: +995 598 513 383 e-mail: Giorgi.Khanjaliashvili@gmail.com

პროგრამა 4.3. AML- შესაბამისობის კითხვარი

სასწავლო პროგრამის დასახელება	AML- შესაბამისობის კითხვარი	პროგრამის ნომერი: CPD/GFPAA/2026/4.3
-------------------------------	-----------------------------	--------------------------------------

სასწავლო კურსის თემატიკა	
3 საათი	თემა: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმა და კანონქვემდებარე აქტებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ჩარჩო. აღნიშნულმა ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინა ანგარიშვალდებული პირების, მათ შორის სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების/აუდიტორული ფირმების, უფლებებსა და მოვალეობებზეც. წინამდებარე კურსის ფარგლებში განხილული იქნება სერტიფიცირებული ბუღალტრების და აუდიტორების/აუდიტორული ფირმების უფლებები და მოვალეობები, როგორც ანგარიშვალდებული პირების, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის მიზნები; ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები; ანგარიშვალდებული პირების მოვალეობები; ზედამხედველობითი ორგანოების კომპეტენცია; რისკების შეფასება და მართვა; პრევენციული ღონისძიებები (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია); ანგარიშგება; შიდა კონტროლის მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებასა და მართვას. წინამდებარე კურსი ორიენტირებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის წინააღმდეგ ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკული ასპექტების სწავლებაზე.
სასწავლო კურსის ფორმატი	დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM“ აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება. სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაეღაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.

სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მსმენელების ცნობიერების ამაღლება, მსმენელებისთვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და მისი იმპლემენტაციის შესახებ, რაც აუცილებელია მათ მიერ პროფესიული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის დაცვით განხორციელებისთვის.	
სწავლების შედეგები	კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ექნებათ ამომწურავი ინფორმაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ; ისინი მიიღებენ ცოდნას, რომელიც აუცილებელია რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვისთვის. მსმენელები შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და პროფესიული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით წარმართვას.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმში	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
ძირითადი ლიტერატურა		
1. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;		
2. ფულის გათეთრების სფეროში მოქმედი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;		
3. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რისკზე დაფუძნებული მიდგომის სახელმძღვანელო ბუღალტრებისთვის;		
4. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო;		
5. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო.		
დამხმარე ლიტერატურა და მასალები		
1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;		
2. Directive (EU) 2024/1640 – მე-6 AML დირექტივა (AMLD 6),		
3. Regulation (EU) 2024/1620 – AMLA-ს დაფუძნების რეგულაცია (ევროკავშირის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ახალი ზედამხედველი ორგანო, ფრანკფურტი, ოპერაციული 2025 წლიდან)		
4. Regulation (EU) 2023/1113 – ფონდების გადარიცხვის განახლებული წესები, მათ შორის კრიპტოაქტივები (Travel Rule), გამოიყენება 2024 წლის დეკემბრიდან		
5. 2014 წლის 18 მარტის საქართველოს მთავრობის №236 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;		
6. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე, გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	გიორგი მირცხულავა	

<i>უმაღლესი განათლება</i>	სასექსის უნივერსიტეტი (2010 – 2011) მაგისტრატურა საერთაშორისო სავაჭრო სამართალში (წარჩინებით) საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) (2008 – 2010) მაგისტრატურა საერთაშორისო სამართალში სოხუმის უნივერსიტეტი (2004 – 2008) ბაკალავრიატი სამართალმცოდნეობაში
<i>პრაქტიკული გამოცდილება</i>	მუშაობს იურისტად აუდიტორულ კომპანია „იუაი“-ში 2014 წლიდან დღემდე
<i>საკონტაქტო ინფორმაცია</i>	მობ: 591 55 69 69; e-mail: giorgi.mirtskhulava@ge.ey.com